ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8072/01
14/08/2019

8072-01-2-201908141758

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 21

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ივლისის №10780 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში მდებარე ცემენტის ქარხნის (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N32 10.05.17 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება #N2-654 09/08/2018) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- საწარმო ტერიტორიის აღწერა (GPS კოორდინატები; მოსახლეობასთან დაშორების მანძილი; საწარმოო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ობიექტები, მათგან დაშორების მანძილი და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედება);
- დაგეგმილი ცვლილების ტექნოლოგიური პროცესის დეტალური აღწერა, მათ შორის წარმოებაში გამოყენებული წვის დანადგარის მახასიათებლები (მოდელი, სიმძლავრე, ხმაურის დონე (დბა) და ა.შ);
- ინფორმაცია საწარმოს წარმადობის (დღიურად) და სამუშაო გრაფიკის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილების შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი წვის პროდუქტების სახეების და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე